სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზია და რადიო

2020 წლის პირველი
კვარტალი

ბათუმი

„მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35[9] მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ყოველკვარტალურ ანგარიშს.

სააგნარიშო პერიოდი: 01/01/2020-31/03/2020

სარჩევი

1. შესავალი;
2. ჩვენი წინასწარი დაგეგმვა;
3. კვარტლის მიღწევა;
4. კვარტლის გამოწვევა;
5. „პროგრამა=პრიოტიტეტს“-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:
   ტელევიზია - შედეგები და საჭიროებები;
   რადიო - შედეგები და საჭიროებები;
   ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;
   მონიტორინგის ანგარიშები.
6. იურიდიული მხარდაჭერა;
7. კვარტლის ტენდერები;
8. ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა;
9. „შემდეგი თაობა“-სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა;
10. საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები;
11. მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;
12. მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი;
13. ჩვენი სხვა აქტივობები;
14. სამომავლო რისკები და გამოწვევები;
15. გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის;

შესავალი

წარმოგიდგენთ 2020 წლის პირველი კვარტლის (იანვარი, თებერვალი, მარტი) შედეგებს.

მაუწყებლის ვალდებულებებია:

- უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა, სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;
- უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
- საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები;
- პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;
- ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;
- ეთერის არანაკლებ 25%-ისა დაუთმოს დამოუკიდებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ მომზადებულ პროგრამებს, რომელთა შესყიდვა განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონების შესაბამისად;
- პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;
- ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;
- გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტერესები, საარჩევნო კამპანიის პერიოდში და რეფერენდუმის/პლებისციტის გამართვის დროს ეთერში გაშვებულ არჩევნებთან/რეფერენდუმთან/პლებისციტთან დაკავშირებულ თავის გადაცემებში უზრუნველყოს სურდოთარგმანი;
- ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;
- სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები;
- უზრუნველყოს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების, მათ შორის, ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში (შემდგომ – ნატო) და ევროკავშირში ინტეგრაციის პოპულარიზაცია;
- უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ.

ჩვენი წინასწარი დაგეგმვა

2020 წლის პირველი კვარტალის მთავარი გამოწვევა იყო ტექნიკური პრობლემების მოგვარება.

ამოცანები:

- აუდიტორიის შენარჩუნება და შემდგომში გაზრდის ღონისძიებების დაგეგმვა, ყოველდღიური რეიტინგების, უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე;
- ბიუჯეტის ცვლილების დოკუმენტზე მუშაობა და მიღება;
- დოკუმენტური ფილმის დამზადება;
- პროგრამული პრიორიტეტების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/ გათვალისწინება;
- ექსკლუზიური და სიღრმისეული მასალების მომზადება საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე, პროფესიული სტანდარტის დაცვით;
- ტელევიზიის ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- მაუწყებლის ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;
- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- გაზაფხულის სეზონის მომზადება;
- ტექნიკის შეძენა.

კვარტლის მიღწევა

ინტერნეტი-შედეგები:

2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელის ვებგვერდის მომხმარებელთა ზრდის დინამიკა საგრძნობლად გაიზარდა, ვიდრე 2019 წლის მეოთხე კვარტალში. კონკრეტულ დღეებში კი ჩვენს მაქსიმალურ მაჩვენებელებსაც მივუახლოვდით.

ტელევიზია-შედეგები:

ახალი ამბების სამსახურის მიმართ ნდობა და იმიჯი გაძლიერდა. პერიოდში მოიმატა ახალი ამბების აუდიტორიამ როგორც სატელევიზიო ეთერში, ასევე სოციალურ ქსელში. შემოქმედებითმა პროგრამებმა საახალწლო თემატიკით ჩაწერეს გადაცემები და საახალწლო მილოცვები, ქართული ესტრადის სხვადასხვა ვარსკვლავებთან ერთად, რის შედეგადაც დამზადდა საახალწლო 2 სთ-იანი გადაცემა. დოკუმენტური კინოს მიმართულებით - პირველ კვარტალში მივიღეთ ერთი დოკუმენტური ფილმი ოლიკო ჟღენტის რეჟისურით. ექსკლუზიურად აჭარის ტელევიზიისთვის, პროექტ „მონო“-ს ფარგლებში გადაღებული სოლო კონცერტები მანანა მენაბდისა და პანჩოს მონაწილეობით, მზადაა ეთერში გასაშვებად.

რადიო-შედეგები:

სამაუწყებლო ბადეში განთავსდა გარეწარმოების ხაზით შეძენილი რუბრიკები, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შეიქმნა საინფორმაციო რგოლები და განთავსდა სამაუწყებლო ბადეში. თავად ბადემაც განიცადა გარკვეული სახეცვლილება.

კვარტლის გამოწვევა

- რეგიონული ბიუროების გაძლიერება;
- რეპორტაჟების ხარისხის გაუმჯობესება როგორც ახალი ამბების, ასევე ანალიტიკური მიმართულებით, ახალი ამბების და ონლაინ მედიის დებულების სამსახურ(ები)ის შემუშავება;
- ტექნიკური პრობლემების იდენტიფიცირება და აღმოფხვრა;
- შემოქმედებითი გადაცემების გუნდის გაძლიერება;
- ანონსების და პრომოების სისტემის გამართვა;
- ვებ-გვერდზე განთავსებული მასალების შესაბამისობა აღიარებულ სტანდარტებთან.

„პროგრამა=პრიოტიტეტს“
-შეფასების სისტემა და ჩვენი პლატფორმები:

ტელევიზია-შედეგები და საჭიროებები;

ინტერნეტი-შედეგები და საჭიროებები;

სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდი 1 იანვარი 25 მარტი

ახალი წლის დღეებში, 14 იანვრის ჩათვლით მონაცემები დაბალი იყო, უნიკალური შემოსვლელთა ოდენობა 10,000 ფარგლებში მერყეობდა, თუმცა სადღესასწაულო დღეების გადასვლის შემდეგ, მონაცემები ჯერ სტაბილურ მონაცემებს დაუბრუნდა, შემდეგ კი ზრდის დინამიკა გაიზარდა.

14 იანვრიდან თებერვლის პირველ ნახევრამდე საშუალო 15-17 ათასი უნიკალური მომხმარებელი ფიქსირდებოდა, ხოლო თებერვალსა და მარტში მაჩვენებლები საგრძნობლად გაიზარდა.

განსაკუთრებით გაიზარდა ინფორმაციის მომხმარებელთა რაოდენობა, კორონა ვირუსის პირველი მომხმარებლის დაფიქსირებიდან 25 მარტის ჩათვლით ზრდის სტაბილურად მზარდი მონაცემებია.



1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით, საიტზე სულ 755, 404 მომხმარებელი იმყოფებოდა.

2019 მეოთხე კვარტალში, სამ თვეში 654,867 მომხმარებელი,

2019 წლის მესამე კვარტალში, ასეთი 630,806 მომხმარებელი,

ხოლო, **637,691** უნიკალური მომხმარებელი ანუ ადამიანი, ვინც პირველად შემოვიდა საიტზე.

საერთო ჯამში თითოეული მათგანი საშუალოდ **2.60** მასალას ათვალიერებდა, გასულ კვარტალში ეს ციფრი **2.54** იყო. ეს მონაცემი იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად ახერხებს მაუწყებელის ვები, რომ ერთ თემაზე შემოსულ ადამიანს შესთავაზოს მისთვის საინტერესო სხვა ინფორმაცია და დატოვოს ვებგვერდზე.

წინა ანგარიშშიც გვქონდა ამაზე საუბარი, რომ ამ მიმართულებით უფრო მეტი ძალისხმევის დახარჯვა გვესაჭიროება. როცა ერთ თემას ბევრი ნახვა აქვს, ამ თემაზე სხვადასხვა კუთხით უნდა გაკეთდეს მასალები, თუ ცენტრალური ამბავია, რეგიონის ჭრილში უნდა ჩავუღმავდეთ. ნაწილობრივ ვმუშაობთ ამ მიმართულებით, თუმცა სხვა გამოწვევებზე უფრო მეტი ენერგია იხარჯება.

საანგარიშო პერიოდში, შემოსულმა მომხმარებლემა 1,965,593 სტატია, ვიდეო ან ინფორმაცია ნახა. გასულ კვარტალში ეს ციფრი 1,674,462 იყო.

(ქვემოთ მოცემული სქრინი - წინა კვარტლის მონაცემები)



უნიკალური მომხმარებელთა და ძირითადი აუდიტორიის ზრდის ტენდენცია. მიუხედავად იმისა, რომ უკან დაბრუნებული მომხმარებლების რაოდენობის დინამიკა პროცენტულად შემცირებულია -2%, რაოდენობრივად ის გაზრდილია ვიდრე იყო წინა კვარტალში. გასულ კვარტალში 115 000 ადამიანი დაბრუნდა უკან, მიმდინარეში კი **281 634 . +166 634**



აუდიტორია საქართველოში ქალაქების მიხედვით

246 ათასი ბათუმი, 370 ათასი თბილისი, 63, 456 სხვა ქალაქებიდან.

ქობულეთი 10.688 ხელვაჩაური 5.182



City	Users	New Users	Sessions	Bounce Rate	Pages / Session	Avg. Session Duration	Goal Conversion Rate	Goal Completions
	647,602 % of Total: 85.72% (755,513)	542,810 % of Total: 85.08% (637,997)	1,776,853 % of Total: 90.33% (1,967,138)	86.49% Avg for View: 86.78% (-0.33%)	1.31 Avg for View: 1.30 (0.70%)	00:01:00 Avg for View: 00:00:57 (3.75%)	0.00% Avg for View: 0.00% (0.00%)	0 % of Total: 0.00% (0)
1. Tbilisi	370,827 (51.13%)	287,181 (52.91%)	732,447 (41.22%)	87.79%	1.26	00:00:48	0.00%	0 (0.00%)
2. Batumi	246,472 (33.99%)	176,522 (32.52%)	857,972 (48.29%)	84.82%	1.38	00:01:14	0.00%	0 (0.00%)
3. (not set)	63,859 (8.81%)	48,369 (8.91%)	102,041 (5.74%)	89.67%	1.19	00:00:35	0.00%	0 (0.00%)
4. Kobuleti	10,688 (1.47%)	6,549 (1.21%)	29,425 (1.66%)	86.99%	1.21	00:00:56	0.00%	0 (0.00%)
5. Khelvachauri	5,182 (0.71%)	2,957 (0.54%)	13,947 (0.78%)	87.10%	1.21	00:00:54	0.00%	0 (0.00%)
6. Rustavi	4,253 (0.59%)	3,418 (0.63%)	5,813 (0.33%)	91.26%	1.19	00:00:28	0.00%	0 (0.00%)
7. Zugdidi	3,131 (0.43%)	2,479 (0.46%)	4,127 (0.23%)	91.91%	1.15	00:00:23	0.00%	0 (0.00%)
8. Gori	2,508 (0.35%)	1,935 (0.36%)	3,689 (0.21%)	88.89%	1.24	00:00:39	0.00%	0 (0.00%)
9. Poti	1,726 (0.24%)	1,272 (0.23%)	2,925 (0.16%)	89.37%	1.18	00:00:40	0.00%	0 (0.00%)
10. Ozurgeti	1,204 (0.17%)	764 (0.14%)	2,225 (0.13%)	90.29%	1.19	00:00:34	0.00%	0 (0.00%)

რაც შეეხება ქვეყნებს, გასული კვარტალის ანალოგიურად, გაიზარდა აშშ მყოფი ქართველების რაოდენობა და გადააჭარბა თურქეთს. უკვე მეორე კვარტალია ამერიკაში მყოფი ემიგრანტები თვალს ადევნებენ სიახლეებს აჭარის მაუწყებელზე.



Country	Users	New Users	Sessions	Bounce Rate	Pages / Session	Avg. Session Duration	Goal Conversion Rate	Goal Completion
	755,513 % of Total: 100.00% (755,513)	638,246 % of Total: 100.04% (637,987)	1,967,073 % of Total: 100.00% (1,967,073)	86.78% Avg for View: 86.78% (0.00%)	1.30 Avg for View: 1.30 (0.00%)	00:00:57 Avg for View: 00:00:57 (0.00%)	0.00% Avg for View: 0.00% (0.00%)	0 % of Tota 0.00% (0
1. Georgia	647,602 (85.17%)	542,801 (85.05%)	1,776,792 (90.33%)	86.49%	1.31	00:01:00	0.00%	0 (0.00%
2. United States	32,859 (4.32%)	32,469 (5.09%)	36,730 (1.87%)	97.17%	1.10	00:00:09	0.00%	0 (0.00%
3. Turkey	20,199 (2.66%)	15,421 (2.42%)	46,682 (2.37%)	87.53%	1.23	00:00:48	0.00%	0 (0.00%
4. Italy	9,162 (1.20%)	7,558 (1.18%)	15,815 (0.80%)	90.35%	1.18	00:00:32	0.00%	0 (0.00%
5. Russia	7,624 (1.00%)	6,130 (0.96%)	15,657 (0.80%)	84.95%	1.33	00:00:51	0.00%	0 (0.00%
6. Greece	7,500 (0.99%)	6,170 (0.97%)	14,281 (0.73%)	89.73%	1.18	00:00:37	0.00%	0 (0.00%
7. Germany	5,342 (0.70%)	4,508 (0.71%)	9,248 (0.47%)	87.32%	1.26	00:00:40	0.00%	0 (0.00%
8. (not set)	4,087 (0.54%)	2,115 (0.33%)	5,143 (0.26%)	87.67%	1.24	00:00:58	0.00%	0 (0.00%
9. France	3,773 (0.50%)	3,292 (0.52%)	5,899 (0.30%)	89.78%	1.21	00:00:33	0.00%	0 (0.00%
10. Poland	2,650 (0.35%)	2,178 (0.34%)	4,731 (0.24%)	90.57%	1.17	00:00:30	0.00%	0 (0.00%

საიდან შემოდიან

ანალიტიკის მიხედვით, დიდწილად ვებგვერდზე ისევ მობილურით შემოდიან. თუმცა, ბოლო კვარტალში გაიზარდა კომპიუტერით შემოსულთა რიცხვი. რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს კორონავირუსსა და კარანტინს. მოქალაქეები სახლებში არიან და უფრო დიდი ხნით აქვთ წვდომა კომპიუტერთან.



ვებგვერდის მომხმარებელთა ისევ დიდი ნაწილი მამაკაცებია, 25-დან 34 წლამდე.

ქვემოთ მოცემულ სქემაში ნაჩვენებია, რომ მათი 72% მამაკაცია, 27%-ზე ოდნავ მეტი ქალი. გასულ კვარტალში 70% იყო.

ასაკი და სქესი

ძირითადად Ajaratv.ge-ის და ფეისბუქის მომხმარებლები 25-დან 44 წლამდე ადამიანები არიან. შემდეგ მოდის - 18-დან 24 წლამდე და 44-დან 64 წლამდე პირები. შემცირდა 65 წელს გადაცილებულთა პირთა რაოდენობა.



კარგი ციფრები:

2019 წლის პირველ კვარტალში უნიკალური ვიზიტორის რაოდენობა მაქსიმუმი (25 მარტს) 23. 959 - მეოთხე კვარტალში, 25 დეკემბერს 40, 923 ვიზიტორი დაფიქსირდა.

2020 წლის პირველ კვარტალში - უნიკალური ვიზიტორების მაქსიმუმი **13 მარტს** - 54 162 დაფიქსირდა. ჰიტები იყო 94 ათასი.



ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე top.ge მონაცემებია. შემომსვლელების საერთო დინამიკა, უნიკალური მომხმარებელი დღეში საშუალოდ 20-დან 30 ათასამდეა.

ხოლო ჰიტები (ანუ ვებგვერდზე მანამდე ნამყოფი ადამიანების ჩათვლით) საშუალო მაჩვენებელი 20-დან 40 ათასამდე მერყეობს.

აჭარის მაუწყებლის ფეისბუქ გვერდი

ეს ბოლო ერთი თვის მონაცემებია, სადაც დინამიკის ზრდა სახეზეა.



ბოლო ერთ თვეში - ფეისბუქიდან ვებგვერდზე გადავიდა 58 980 მომხმარებელი. მაუწყებლის გვერდი მოიწონა 2210 ადამიანმა. საერთო ჯამში 924, 951 ადამიანის მხედველობის არეალში მოხვდა მაუწყებლის მასალები და 5,779 ადამიანმა ნახა ტვ სთორი.

ამ პერიოდში 26 თებერვლიდან მარტის ჩათვლით 1, 461, 458 რეაგირება იყო გვერდზე და 1.041,114-ჯერ ნახეს მაუწყებლის ფბ გვერდზე განთავსებული ვიდეო.

კვარტლის დინამიკა მზარდია, კარგად ჩანს რომ ბოლო სამ თვეში რიჩების და ნახვების რაოდენობა გაზრდილია. (დიაგრამა ქვემოთ)



ისევ პრობლემად რჩება ფბ გვერდის ხარისხი. სამწუხაროდ, ამ კვარტალშიც დაფიქსირდა რამდენიმეჯერმე ფბ ლაივის დაბლოკვა.

ერთხელ საინფორმაციო გამოშვება დაიბლოკა, მეორედ გადაცემა „თავისუფალი სივრცე“ .

ორივე მასალა წაიშალა. ჩვენ ფბ გვედის ხარისხი საშუალოა, გაფრთხილებულები ვართ, თუმცა სარისკო ზონაში აღარ ვართ.

სულ სამი ზონაა აქვს შეფასების ფბ ადმინისტარცაიას - მწვანე იდეალურია, ყვითელი პრობლემური, ხოლო წითელი საფრთხის შემცველი და საქნციებს გულისხმობს.





25 მარტის მონაცემებით, ფბ გვყავს 103,194 „ფოლოუერი“, ხოლო 93,839 ათასი „ლაიკერი“.

გასული კვარტალი: 99,316 „ფოლოუერი“ და 91 ათასი „ლაიკერი“

Top.ge

მონაცემები ამ ვებგვერდზე სისტემატურად იცვლება, თუმცა რეგისტრირებული ასობით ვებგვერდიდან ჩანს, რომ ჩვენი პოზიციები ბოლო კვარტალში გამყარდა.



#	+/-	Top.ge	(გუშინ)
1.		MyVideo.GE - ვიდეო პორტალი ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	65,531 (175,188)
2.		Ambebi.ge (ამბები.ge) ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	69,580 (205,135)
3.	▲ +2	Primetime.Ge ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	66,827 (131,364)
4.	▼ -1	imedinews ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	49,734 (182,362)
5.	▲ +2	newposts ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	46,994 (88,723)
6.		intermedia.ge ინტერმედია ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	37,275 (100,115)
7.	▼ -3	news agency "InterpressNews" ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	38,584 (151,362)
8.	▲ +4	რეზონანსი ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	24,384 (66,222)
12.	▼ -3	Palitravideo.ge ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	16,851 (65,501)
13.	▲ +3	ALIA.GE ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	18,213 (43,678)
14.	▲ +16	Funtime.ge ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	15,935 (20,367)
15.	▲ +12	www.pirveli.com.ge ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	20,378 (28,882)
16.	▼ -8	netgazeti.ge, ნეტგაზეთი ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	17,736 (90,977)
17.	▼ -4	Fortuna.ge ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	14,796 (61,447)
18.	▲ +1	PIA ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	14,817 (38,577)
19.	▼ -5	Rustavi 2 ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	12,210 (58,241)
20.	▼ -2	აჭარის ტელევიზია ახალი ამბები, მედია, ტელევიზია, რადიო	10,673 (39,653)

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მოკვლევა - alexa.com-ის, google analytics-ისა და youtube.com-ის მიხედვით შედგა, მოქმედი მაუწყებლების ვებგვერდებს შორის მე-5 ადგილს ვიკავებთ.

ქართული ტელეარხების ვებგვერდების რანგირება

ALEXA.COM-ის მიხედვით

კვირის მონაცემები - 09.02.2020 - 15.02.2020

ვებგვერდები	რანგი (მსოფლიო)
1tv.ge პირველი არხი	106 627
imedi.ge იმედი	125 292
rustavi2.ge რუსთავი2	180 562
politranews.ge პოლიტრანიუსი	305 413
ajaratv.ge აჭარის ტელევიზია	380 057
mtavari.tv მთავარი	388 066
formula.ge ფორმულა	768 128
tvpirveli.ge ტვ პირველი	-
obieqtivi.info ობიექტივი	-
maestro.ge მაესტრო	-

ALEXA GLOBAL TRAFFIC RANK - ვებგვერდების რეიტინგი, რომელიც შედგენილია ზოგადი ნახვების, უნიკალური ვიზიტორების, საიტზე გატარებული საშუალო დროის და სხვა მნიშვნელოვანი პარამეტრების მიხედვით

ALEXA.COM

საქართველოს მასშტაბით პოზიციონირება ფბ გვერდებზე



ამ სქრინზე თქვენ ნახავთ სამი თვის განმავლობაში, ყველაზე პოპულარულ მასალებს. დიდწილად გაზიარებები, ემოციები და ჩართულობა საკმაოდ მაღალია. ნახვადი და პოპულარული მასალების 80%ზე მეტი ის მასალებია, რომელსაც ონლაინ სამსახური ქმნის. ეს ბუნებრივია, რადგან ვებგვერდზე მთლიანად ონლაინ მომხმარებლისთვის ადაპტირებული მასალები იდება.



საშუალოდ, ამ კვარტალში კვირაში ფიქსირდება 20,471 ფბ ემოცია, კომენტარი და გაზიარება - მონაცემები crowdtangle.com

საქართველოში მედიასაშუალებების რეიტინგებში მოქალაქეების ჩართულობის კუთხით -ლიდერობს მთავარი არხი, მას მოსდევს იმედი.

მედიასაშუალებების რიგითობით მე-16 ადგილზე ვართ. ფოტოზე მოცემულია ჩამონათვალი, მათ შორის არასაინფორმაციო საშუალებების. ამ რიგითობიდან ამოვაგდეთ პოლიტიკოსები, თოქ-შოუები და შემეცნება.



	Average Total	44,441.86	0.130%	34.20	1.19M	135,722.79	+0.42%
1	მთავარი არხი • Mtavari Arkhi	677,307	0.57%	45.57	26.13M	376,906	+2.46% +9,057
2	TV Imedi	421,427	0.067%	141.14	8.36M	634,980	+0.82% +5,148
3	Rustavi 2	313,034	0.055%	108.86	10.77M	750,869	+0.43% +3,233
4	პირველი არხი	271,300	0.062%	197.86	5.00M	317,429	+1.05% +3,288
5	TV Pirveli • ტელეკომპანია პირველი	216,008	0.134%	93.29	9.34M	248,232	+1.76% +4,301
6	რადიო თავისუფლება	109,356	0.067%	79	2.50M	294,050	+0.61% +1,795
7	დრო მიდის, კალრები კი რჩება - Dro	89,769	0.282%	14.29	59,040	317,880	+0.10% +306
8	POSTV - გარეთობა	49,143	0.323%	6.43	2.12M	338,162	+0.24% +820
9	ტაბულა • Tabula	47,698	0.033%	100	522,795	205,123	+0.19% +379
10	ambebi.ge • ამბები.ge	44,643	0.032%	55	—	360,762	+0.07% +235
11	Kakha Kaladze კახა კალაძე	44,497	1.181%	1.29	653,025	419,359	+0.40% +1,685
12	BMG	44,430	0.052%	107.86	682,683	111,894	+0.76% +847
13	InterPressNews.ge	43,847	0.092%	60	7,235	113,142	+0.75% +843
14	TV პალიტრანიუსი - TV PalitraNews	40,641	0.031%	124.43	1.66M	148,151	+0.75% +1,107
15	თოქ-შოუ პროფილი	40,090	0.558%	3.71	2.00M	276,893	+0.41% +1,127
16	ნანუკა ჟორჟოლიანის შოუ / Nanuka Zhorzholiani's Show	39,009	0.315%	4.71	1.31M	375,337	+0.19% +725
17	POSTV	36,314	0.966%	3.86	1.05M	139,754	+0.84% +1,165
18	Netgazeti	35,127	0.078%	68	250,472	94,481	+0.75% +703
19	NEWS.On.ge	31,476	0.061%	62.57	39,007	116,343	+0.65% +753
20	აჭარის ტელევიზია • Ajara TV - საზოგადოებრივი	30,989	0.098%	48	200,571	93,813	+0.39% +363
21	ბათუმელები •	27,860	0.129%	49.57	48,905	62,201	+0.68%

ყველაზე მეტ პოსტს, 198 მასალას დებს დღეში პირველი არხი. მას მოსდევს იმედი და რუსთავი 2. აღსანიშნავია, რომ ამ არხების მასალების მომზადება საგანგებო რეჟიმზე გადასვლის შემდეგ გაორმაგდა.

აჭარის მაუწყებელი დღეში საშუალოდ 48 პოსტს აქვეყნებს.

სოციალური მედია - 2020 წლიდან ტვ ვიდეოები იუთუბ არხზე გადავიტანეთ. იმედი გვაქვს, რომ სოციალურ მედიის მიმართულებით კიდევ უფრო გავაძლიერებთ გუნდს და უფრო აქტიურად შევძლებთ სხვა სოციალური ქსელების ათვისებას.



Youtube-ის ანალიტიკის მიხედვით, მას შემდეგ რაც ახალი ამბების ატვირთვა იუთუბზე დავიწყეთ, მონაცემებმა საგრძნობლად მოიმატა1500 დან 6000 მდე. ბუნებრივია, ეს საკმაოდ დაბალი ციფრია ამ სოცმედიის შესაძლებლობებისთვის, თუმცა მინიმალური ცვლილებები გაქვს.



გააქტიურდა ე.წ. რიჩების ოდენობა და 18 000 დან 40 000 მდე გაიზარდა. მინიმალურია ზრდა, თუმცა 700 მეტი გამომწერი არხს დაემატა.

ჩვენ ვერ ვიყენებთ ამ ქსელის შესაძლებლობებს, მისი ინსტრუმენტები დიდ შესაძლებლობას მოგვცემს. ამ ეტაპის ამოცანაა ინსტაგრამზე უფრო მეტი რესურსი დავხარჯოთ, რათა მოვიზიდოთ ახალგაზრდა აუდიტორია, რომელიც დიდიწილად ამ ქსელშია გადაპორტირებული.

წინა წლების ამოცანა იყო, რომ მაუწყებლის ვებგვერდი განახლებად საინფორმაციო წყაროდ დაფიქსირებულიყო, სადაც უახლესი ამბები თავსდება. პირველი ამოცანა შესრულებულია და მაუწყებელის საიტი ონლაინ მედიაბაზარზე სხვა მედიასაშუალებებთან ერთად პოზიციონირებს.

შედეგები არის მზარდი, თუმცა არადამაკმაყოფილებელი.

ახალი ამბების სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურის გუნდმა შეძლო ჩვეულ რეჟიმში გაეგრძელებინა მუშაობა. ახალი ამბები შუქდებოდა მიუკერძოებლად, კონკრეტული ადამიანების ჩარევისა და მითითების გარეშე. მიუკერძოებლად და თანაბარი პრინციპით გაშუქდა პოლიტიკური ძალები. ქვეყანაში არსებული კრიტიკული სიტუაციის ფონზე, გავაშუქეთ ყველა საქველოქმედო ღონისძიება თუ წამოწყება, რომელთაც მოგვმართეს. (გარდა სარეკლამოსა) კორონავირუსის პანდემიის პერიოდში, ეთერში ახალი ამბები საათში ერთხელ ჩაეშვა. (10:00 საათიდან) საეთერო ბადეში დაბრუნდა „მთავარი მოკლედ“ (დაიჯესტის პრინციპით), საკოორდინაციო საბჭოს დასრულებისთანავე, პირდაპირ ეთერში გადაიცემა ყველა ბრიფინგი (დროის ნებისმიერ მონაკვეთში).

ცვლილება შეეხო რადიო ახალი ამბების საეთერო ბადესაც, დაემატა დილის 09:00 და 10:00-საათიანი საინფორმაციო გამოშვებები. კორონავირუსის რისკის გავრცელების თავიდან ასარიდებლად, წამყვანების, რეპორტიორებისა და ოპერატორების ჯგუფები დაიყო შემდეგი პრინციპით: 5 დღის განმავლობაში მუშაობს, 5-6 ერთი და იგივე ჯგუფი, 5 დღის შემდეგ მეორე ჯგუფი. ისე, რომ მათ ერთმანეთთან შემხებლობა არ აქვთ. ამით გადაიჭრა კიდევ ერთი შიდა პრობლემა, შაბათ-კვირას რეპორტიორების სიმწირისა. მათივე ინტერესების გათვალისწინებით, დაიყო მემონტაჟეების და ფონდების სამსახურის თანამშრომელთა განრიგი. ახალი ამბების სამსახურს შემოუერთდნენ ახალი წევრები. გამოცხადებული კონკურის შედეგად, თბილისის ბიუროს რეპორტიორად შეირჩა - ნატალია ჯახუტაშვილი 6 (ექვსი) თვიანი გამოსაცდელი ვადით. სამსახურის ცენტრალურ ოფისში, ავიყვანეთ 2 რეპორტიორი - თემურ სალუქვაძე და ლოლა ტუმასიანი, რომელთაც მანამდე მაუწყებელში გავლილი ჰქონდათ სტაჟირება. საინფორმაციო გამოშვების ახალ წამყვანად, გუნდიდან შეირჩა ქეთი ბოლქვაძე. წამყვან-რეპორტიორის ხელშეკრულებით, სამსახურში ავიყვანეთ - ნაზიბროლა ქობულაძე, რომელსაც მთავარი საინფორმაციო გამოშვება მიჰყავს. გადაიხედა რამდენიმე თანამშრომლის ხელშეკრულების პირობები, შესრულებულ სამუშაოსა და შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. ხელფასი გაეზარდათ, თბილისის ბიუროს ოპერატორებს, ასევე ქედისა და ხულოს ბიუროების რეპორტიორებსა და ოპერატორებს. აქამდე მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით, ქედისა და ხულოს რეპორტიორებს ევალებოდათ გაეშუქებინათ ამბები შუახევში, ოპერატორებს კი მხოლოდ 1 მუნიციპალიტეტი. ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა რეპორტიორებისა და ოპერატორების ხელფასი. ხელშეკრულების პირობები და ანაზღაურება გადაიხედა, ცენტრალურ ოფისში მომუშავე რამდენიმე თანამშრომლისაც.

გამოწვევა:

მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სიღრმისეული რეპორტაჟების მომზადება. ასევე რეპორტიორების გადამზადება სფეროების მიხედვით, რაც მასალებზე სირღმისეულად მუშაობის აუცილებელი წინაპირობაა.

მას შემდეგ, რაც ანალიტიკური გუნდის წევრი, ფირუზ ბოლქვაძე ახალი ამბების რედქტორის პოზიციაზე გადმოვიდა, ანალიტიკურ გუნდს სჭირდება კიდევ 1 რეპორტიორი, მასალების სრულყოფილად მოსამზადებლად.

იგეგმება გუნდის ახალი სახეებით კიდევ უფრო გაძლიერება და სტაჟირების კონკურსის გამოცხადება.

გრძელდება თანამშრომლოობა „ამერიკის ხმასთან“, მასალების გაცვლა საზოგადოებრივ მაუწყებელთან, „ტვ პირველთან“, ტელეკომპანია „ფორმულასთან“, „პოს ტვ-სთან“

გამოწვევად რჩება, ტექნიკური რესურსის გაძლიერება.

სატელევიზიო მაუწყებლობის განვითარების სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- გადაცემების და მექანიკური პროდუქციის ანონსირება;
- ყოველკვირეული პროგრამის შემუშავება და სხვადასხვა ვებ პლატფორმაზე მიწოდება, მაქტისატისთვის პროგრამის დამუშავება-მიწოდება;
- კონკურსით ქართული ფილმების შეძენა-გაშვება:
  - შპს „გგგ მედია“ – 28 910 ლარი (49 ფილმი).
- კონკურსით მექანიკური პროდუქციის (მხატვრული ფილმი, სერიალი) შეძენა-გაშვება:
  - შპს ქართული გახმოვანება - 70 300 ლარის პროდუქცია (37 მხ.ფილმი)
  - სინემედია - 99 270 ლარი - 40 მხ.ფილმი, 2 სერიალი (15 სერია)
  - ედემი - 94 788 ლარი (30 ფილმი, 10 ზღაპარი და 11 საათი სერიალი)
- ბრენდირებული ნივთების შეძენა: ბრენდირებული ჭიქა, ბეიჯები, ქოლგები, მიკროფონის ბრენდირებული ღრუბლები, ბრენდირებული სტიკერები მიკროფონებისთვის, რადიოს ფასადზე არსებული ლაითბოქსების ფირები;
- სოციალური და კომერციული რეკლამების მიღება-განთავსება:
  - 9 (ცხრა) ორგანიზაციიდან სოციალური რეკლამის მიღება-განთავსება; 4 (ოთხი) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება, რგოლის დამზადება-განთავსება;
  - 7 (შვიდი) კომპანიის კომერციული მომსახურება, შემოსული თანხა შეადგენს 15 789 ლარი.

- სტუდია „მაკრო“-სთან გაფორმებულია ხელშეკრულება ადგილობრივი სერიალის „ერთხელ ბათუმში“ მოწოდების თაობაზე;
- საბავშვო ანიმაციური გადაცემის „ბუკიპედია“-ს მიღება და 3 აპრილიდან ბადეში განთავსება (პარასკევი, შაბათი, კვირა 17:50);
- აბიტურიენტებისათვის გაკვეთილების ციკლის მიღება-დამუშავება და 6 აპრილიდან ბადეში განთავსება (ორშაბათი-პარასკევი 14:05).
- ანონსის რედაქტორის პოზიციაზე კონკურსის გამოცხადება და გამარჯვებულის გამოვლენა;
- კონკურსით ანიმაციური სერიალის შეძენა:

- შპს ქართული გახმოვანება - 62 400 ლარი, 3 ანიმაციური სერიალი, სულ 39 საათი).

- BBC დოკუმენტურ ფილმებზე და სერიალებზე კონკურსის გამოცხადება. კონკურსი დასრულდა 3 აპრილს, მიმდინარეობს პროდუქციის არჩევა.

2020 ს წლის პირველ კვარტალში ბადეში შევიდა შემდეგი ცვლილება:

- 16 მარტიდან ბადეში (ორშაბათი , ოთხშაბათი 21:00) განთავსდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „თავისუფალი სივრცე“ (ავტორი ვახტანგ ხუზმიაშვილი);
- 24 მარტიდან ბადეს დაემატა საინფორმაციო დაიჯესტები (11:00,13:00,16:00);
- სამედიცინო გადაცემა „იმპულსი“ საგანგებო რეჟიმთან დაკავშირებით 23 მარტიდან -30 მარტამდე ეთერში გადიოდა ყოველ სამუშაო დღეს 10:10-ზე, ხოლო 31 მარტიდან კვირაში სამჯერ (ორშაბათი, ოთხშაბათი, პარასკევი);
- 23 მარტიდან საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით შეჩერდა საავტორო პროექტები და თოქ-შოუები გარდა საინფორმაციო ფორმატისა. ბადე შეივსო გადაცემების განმეორებებით;
- ბადეში დარჩა საგრანტო პროექტი „ათვლის კუთხე“- ორშაბათი 17:00 (წინასწარ იყო დამზადებული);
- საავტორო პროექტების „ეთნოფორი“-ს და „უცხო სუნელი“-ს შემოქმედებით ჯგუფებმა დისტანციურად დაამზადეს რგოლები „დარჩი სახლში“-ს შინაარსის, რომლებიც განთავსდა ბადეში, როგორც პროგრამათაშორისი;
- ბადეში განთავსდა სოციალური რგოლები COVID-19 დაკავშირებით;

საავტორო-შემოქმედებითი გადაცემების სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

საავტორო-შემოქმედებითი მიმართულებით პირველ კვარტალში შემოქმედებითმა ჯგუფებმა გადაცემები ვერ აწარმოეს შეუფერხებლივ. საყოველთაო პანდემიის ფონზე და საგანგებო მდგომარეობის გათვალისწინებით, შემოქმედებითი გადაცემების ავტორებისთვის წარმოიშვა რიგი პრობლემები - რესპოდენტები თავს არიდებდნენ კონტაქტზე გამოსვლას, ასევე გახდა საჭირო მიგვეღო ზომები და დაგვეცვა თანამშრომლები მოსალოდნელი საფრთხისგან, რის გამოც პრევენციისთვის შემოქმედებითი მიმართულებით დროებით შეჩერდა გადაცემების წარმოება, გარდა სამედიცინო გადაცემა „იმპულსი“-სა.

დაიგეგმა და განხორციელდა პოლიტიკური თოქ-შოუს წარმოება “თავისუფალი სივრცე“ ვახო ხუზმიაშვილთან ერთად. დამზადდა გადაცემის ქუდი, პრომო და უკვე 6 გადაცემა გავიდა ეთერში. პროგრამის ქრონომეტრაჟი 1 სთ-ია და კვირაში ორჯერ, ორშაბათსა და ოთხშაბათს 21:00 სთ-ზე გადის ეთერში.

ასევე დაიგეგმა და განხორციელდა საბავშვო მიმართულებით მულტიპლიკაციური გადაცემათა ციკლის წარმოება, „ბუკიპედია“ ასე ქვია საბავშვო, შემეცნებით გასართობ პროგრამას, რომელსაც კვირაში სამჯერ იხილავს აჭარის ტელევიზიის ეთერით პატარა მაყურებელი და შესაძლებლობა მიეცათ პატარებს აჭარის ტელევიზიით იხილონ მაღალი ხარისხის, საინტერესო და შემეცნებით - გასართობი პროგრამა. თითოეული გადაცემის ხანგრძლივობა 5-6 წთ-ია.

ხელშეკრულება გაფორმდა ააიპი მაკრო სტუდიასთან რომელმაც დაიწყო ექსკლუზიურად აჭარის ტელევიზიისთვის ტელე-სერიალის წარმოება.

თვითიზოლაციის პირობებში შეიფუთა, დამზადდა და ეთერში განთავსდა პროგრამათაშორისი მუსიკალური ვიდეო რგოლები, რომელსაც გადაცემა „ეთნოფორი“-ს ერთგული რესპოდენტები გვიგზავნიან.

დოკუმენტური კინოს მიმართულებით - პირველ კვარტალში მივიღეთ ერთი დოკუმენტური ფილმი ოლიკო ჟღენტის რეჟისურით.

ექსკლუზიურად აჭარის ტელევიზიისთვის, პროექტ „მონო“-ს ფარგლებში გადაღებული სოლო კონცერტები მანანა მენაბდისა და პანჩოს მონაწილეობით, მზადაა ეთერში გასაშვებად.

პანდემიის ფონზე, შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, მზადდება სპეციალურად შუადღის ერთ საათიანი პროგრამა, სადაც მოხდება შემოქმედებითი მიმართულებით არსებული გადაცემების აკუმულირება, მცირე რუბრიკების სახით. პროექტი სპეციალურად აქცენტს გააკეთებს აქტუალურ მიმდინარე თუ სხვა საინტერესო თემების ირგვლივ.

<u>რადიო-შედეგები და საჭიროებები</u>

რადიო მაუწყებლობის სამსახურის მიერ 2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- პერიოდულად მიმდინარეობდა ყოველკვირეული მუსიკალური პლეილისტის გენერაცია - განახლება.
- პერიოდულად მიმდინარეობდა რადიოს საეთერო სტუდიებში წარმოშობილი ტექნიკური პრობლემების აღმოფხვრა
- სამაუწყებლო ბადეში განთავსდა გარეწარმოების ხაზით შეძენილი რუბრიკები.
- საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით შეიქმნა საინფორმაციო რგოლები და განთავსდა სამაუწყებლო ბადეში. თავად ბადემაც განიცადა გარკვეული სახეცვლილება.

მიმდინარე პროგრამულ ბადეში განთავსებულია შემდეგი გადაცემები: ,,სპორტი გოგი მურვანიძესთან ერთად'', ,,ეკოსამყარო'', ,,კონტაქტი,',,კომპეტენტური პასუხი'', ,,ღია ეთერი'', **გიორგი ლორიას საავტორი გადაცემა „რადიო ბაქანი".**

<u>იურიდიული მხარდაჭერა</u>

2020 წლის პირველი კვარტალის მონაცემებით, მაუწყებელში შემოსულია შემდეგი რაოდენობის დოკუმენტაცია:

შიდა დოკუმენტი - **920;**

გარედან შემოსული - **125.**

კანცელარიიდან **გაიგზავნა 146** წერილი.

მაუწყებელში **შეიქმნა და რეგისტრაციაში** გატარდა:

ძირითადი საქმიანობის შესახებ (02-03) - **08 ბრძანება;**

პირადი შემადგენლობის შესახებ (02-07) (მივლინება) – **98 ბრძანება;**

ადმინისტრაციულ-სამეურნეო საკითხების შესახებ (02-09) - **52 ბრძანება.**

რეგისტრაციაში გატარდა - **161** მიღება-ჩაბარებისა და სხვა აქტი.

მაუწყებლის სარჩელი მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინააღმდეგ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. დავის საგანი: თანხის დაკისრება. (2016 წელს ბახმაროში ფერიცვალების დღესასწაულზე დაზიანებული კამერის შეკეთების ხარჯი). მოპასუხე ჯუმბერ ძირკვაძეს დაეკისრა 2 600 (ორიათას ექვსასი) ლარის გადახდა მაუწყებლის სასარგებლოდ.

მაუწყებელმა სარჩელი აღძრა მოპასუხეები შპს „ეიგლის“ და სს „სადაზღვევო კომპანია ალფას“ წინააღმდეგ. დავის საგანი: წინასწარი ანგარიშსწორების სახით გადახდილი თანხის - 11 000 (თერთმეტი ათასი) ლარის დაკისრება, პირგასამტეხლოს - 8234.25 (რვა ათას ორას ოცდათოთხმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის გადახდა. (საფუძველი: #199 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.23/08/2019). სარჩელი წარმოებაშია მიღებული, მოპასუხეებს წარმოდგენილი აქვთ შესაგებლები.
მაუწყებელმა სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოითხოვა შპს "ეიგლის" (ს/კ 405222272) საქართველოში რეგისტრირებულ საბანკო დაწესებულებების ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებზე საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ყადაღის დადება 19234.25 (ცხრამეტი ათას ორას ოცდათოთხმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარის ფარგლებში. მაუწყებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და შპს „ეიგლის“ ანგარიშებზე განთავსებულ თანხების 50%-ს სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში დაედო ყადაღა. განჩინება წარდგენილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

მაუწყებლის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება შპს „ბურჯი ინვესტი“-ის მიმართ 2019 წლის მეოთხე კვარტალში წარდგენილი იქნა აღსრულების მიზნით აღსრულების ეროვნულ ბიუროში. აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილ იქნა ხარვეზი, ვინაიდან შეუძლებელი იყოს ვალდებული პირისათვის დაკისრებული თანხის ზუსტი გამოთვლა, რის გამოც გადაწყვეტილების განმარტებისათვის განცხადება წარედგინა ბათუმის საქალაქო სასამართლოს და მიმართვის მტკიცებულება წარდგენილია აღსრულების ეროვნულ ბიუროში, რადგანაც ხარვეზის შევსების ვადის გასვლა ჩათვლილიყო საპატიოდ.

მაუწყებლის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს შემდეგმა პირებმა:
ა) თეონა ბაკურიძე,
სასარჩელო მოთხოვნა: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ დირექტორის 2020 წლსი 06 მარტის #02-05/27 ბრძანების (თეონა ბაკურიძის ტელევიზიის ეთერიდან ჩამოშორების შესახებ) ბათილად ცნობა.

ბ) მაია მერკვილაძე,
სასარჩელო მოთხოვნა: სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ საშტატოპ განრიგისა და თანმშრომელთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის #01-01/03 (ოქმი #3) გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.
ორივე სარჩელზე წარდგენილია შესაგებელი.

თვითრეგულირების ფარგლებში განხილულ იქნა ერთი საქმე:
განმცხადებელი: სს „ევექსის კლინიკები“
სიუჟეტის ავტორი: ჯენი კვანტალიანი.
გადაწყვეტილება: 2020 წლის 27 იანვარს პირველადი ჯანდაცვის საკითხთან დაკავშირებით გადაცემა „მთავარში“ გასულ სიუჟეტში დაირღვა მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი. კერძოდ, სიუჟეტის მომზადებისას არ იქნა მიღებული ყველა გონივრული ზომა გადაცემული ინფორმაციის სისრულისა და სიზუსტის უზრუნველსაყოფად. იურიდიული სამსახურის მიერ ორგანიზება გაეწია თვითრეგულირების კომისიის შექმნას, დაინტერესებული მხარეების მოწვევის ორგანიზება, სხდომის ოქმების შედგენა, ასევე მონაწილეობა მიიღო მესამე პირების მიერ წარმოგდენილ ვიდეორგოლისათვის სოციალური რეკლამის სტატუსის მინიჭების განხილვაში, როგორც სოცალური რეკლამის სტატუსის მიმნიჭებელი კომისიის წევრმა. მის მიერ ასევე მოხდა აუდიოვიზუალური ნაწამოებების საჯარო გადაცემის უფლების შესყიდვის კონკურსის ორგანიზება, ბრძანებების მომზადება. ხელშეკრულებების გაფორმება. სარეკლამო ხელშეკრულებების გაფორმება - 8 (რვა) ხელშეკრულება.

კვარტლის ტენდერები

2020 წლის ბიუჯეტის ფარგლებში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ პირველ კვარტალში გამოცხადდა 11 ტენდერი, მათ შორის: უარყოფითი შედეგით დასრულდა - 1 (ერთი), ხოლო 10 (ათი) შემთხვევაში გამარჯვებულ კომპანიებთან გაფორმდა საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებები.

ინფორმაცია გაფორმებული ხეკლშეკრულებების შესახებ:

2020 წლის პირველ კვარტალში გაფორმდა 87 (ოთხმოცდაშვიდი) ხელშეკრულება, მათ შორის:

1. 21 (ოცდაერთი) გამარტივებული შესყიდვა საკუთარი (არასაბიუჯეტო) შემოსავლებით;
2. 50 (ორმოცდაათი) გამარტივებული შესყიდვა სახელმწიფო ბიუჯეტით;
3. კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გაფორმდა 16 (თექვსმეტი) ხელშეკრულება.

შესრულდა და შესაბამისი სტატუსი მიენიჭა შესყიდვების სააგენტოს საიტზე 31 ხელშეკრულებას.

ადამიანური რესურსების მართვა, თანამშრომელთა შერჩევა, კონკურსები, სწავლება და ახალი უნარ-ჩვევების შეძენა

2020 წლის 07 თებერვლას გამოცხადდა მაუწყებლობის განვითარების დარგში დირექტორის მოადგილის კონკურსი და მიღებულ იქნა სამსახურში ვახტანგ ხუზმიაშვილი - მაუწყებლობის განვითარების დარგში დირექტორის მოადგილის პოზიციაზე.
განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: თანამდებობიდან გათავისუფლდა წამყვან/ რეპორტიორი თეონა ბაკურიძე - „მთავარის“(20:00 საათიანი) წამყვანი, ასევე ახალი ამბების სამსახურის უფროსი შორენა ღლონტი, რომელიც ბრძანების საფუძველზე დაინიშნა კონსულტანტის ვებ-გვერდისა და სოციალური მედიის მიმართულებით, წამყვან-რეპორტიორი თეონა ხარაბაძე ხელშეკრულების შესაბამისად გადაყვანილ იქნა ქუთაისში, ნაზიბროლა ქობულაძე - მიღებულ იქნა სამსახურში „მთავარის“(20:00 საათიანი) წამყვანის პოზიციაზე, ლევან ურიდია - მიღებულ იქნა ახალი ამბების სამსახურიში რეპორტიორის პოზიციაზე გამოსაცდელი 6 თვიანი ვადით (ქობულეთში), ანა ახალაძე - მიღებულ იქნა ონლაინ მედიის სამსახურიში ვებ.რეპორტიორის პოზიციაზე გამოსაცდელი 6 (ექვსი) თვიანი ვადით, კონკურსის წესით ნატალია ჯახუტაშვილი - მიღებულ იქნა სამსახურში რეპორტიორის პოზიციაზე თბილისის ბიუროში გამოსაცდელი 6 (ექვსი) თვიანი ვადით, ფირუზ ბოლქვაძე - გადაინიშნა საშტატო რედატორის პოზიციაზე, „მთავარის“ (20:00 საათიანი) რედაქტორად, ცირა სურმანიძე-გადაყვანილი იქნა საშტატო პოზიციაზე რედაქტორად, გიორგი აბაზაძე - დაინიშნა ახალი ამბების სამსაურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლად.

2020 წლის 24 თებერვლას განხოციელდა საშტატო ცვლილება სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ მრჩეველთა საბჭოს 2020 წლის 19 თებერვლის #01-01/03 (ოქმი #3) გადაწყვეტილებით, კერძოდ ცვლილების შედეგად მოხდა მაუწყებელში გადანიშვნა:

- გიორგი მურვანიძე, ,,საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში“ შემოქმედებითი მიმართულების მენეჯერის პოზიციაზე;
- აბესალომ დუმბაძე, ,,საავტორო შემოქმედებითი გადაცემების სამსახურში“ საორგანიზაციო მიმართულებით მენეჯერის პოზიციაზე;
- მაია შაშიკაძე „ფინანსური ეფექტიანობის სამსახურში“ სახაზინო სამსახურთან ურთიერთობის მენეჯერის პოზიციაზე;
- მაია მერკვილაძე კი რადიოს საინფორმაციო გამოშვებების რედაქტორის შტატგარეშე პოზიციაზე.

„შემდეგი თაობა“ - სტაჟირების პროგრამის მიმოხილვა

საანგარიშო პერიოდში ახალი ამბების სამსახურში სტაჟირების პროგრამით მუშაობდა ერთი სტაჟიორი, რომელიც დაინიშნა თებერვლის თვეში ახალი ამბების სამსახურში ქობულეთის ბიუროში, ხოლო ონლაინ მედიის სამსახურში დაინიშნა სტაჟიორი ანა ახალაძე.

სტაჟირების პროგრამის ფარგლებში 2019 წლის მე-4 კვარტალში სამსახურში იქნა მიღებული 3 წარმატებული სტაჟიორი (გადაცემა „რადიოვიზია“).

საზოგადოებრივი არხი და პარტნიორები

ახალი ამბების სამსახური განაგრძობს თანამშრომლობას "ამერიკის ხმასთან". მთავარის ეთერში გადაიცემა სხვადასხვა თემაზე მომზადებულ მასალები.

მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა

2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. ელექტრომომარაგების ცენტრალურ ჯიხურში დენის მარეგულირებელს ჩაუტარდა პროფილაქტიკა.
2. შემოქმედების და ახალი ამბების სამსახურის განათებას, პეტლიჩკებს, შტატივებს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები.
3. მომზადდა ტენდერი ვიდეო პულტის, მოძრავი სატელევიზიო სადგურის, ვიდეოკამერების, პირდაპირი ჩართვის აპარატურის, ემბედერების და დეემბედერების შესყიდვაზე.
4. სტუდია 3 ში გავმართეთ განათების სისტემა.

გადამცემ საშუალებათა ექსპლუატაციის განყოფილების მიერ ჩატარებული სამუშაოები:

ომბალაურის აჭარის რადიოს გადამცემ სადგურზე ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (ორ კვირაში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). FM გადამცემ სადგურს ჩაუტარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. ჩატარდა სარემონტო სამუშაოები აჭარის რადიოს FM გადამცემ ანტენებზე. დამონტაჟდა სარეზერვო მოდულატორის ბლოკი. გარემონტდა დენის უწყვეტი წყარო, პროფილაქტიკა ჩაუტარდა დიზელ - გენერატორს, ავზში ჩაისხა 500 (ხუთასი) ლიტრი დიზელის საწვავი, გადამცემი მუშაობს 104,5 მეგაჰერცის სიხშირეზე.

ქედის(ზენდიდი) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური ანტენა და სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 106,1 მეგაჰრცის სიხშირეზე.

შუახევის (ოროქეთის) აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები), რემონტი ჩაუტარდა FM გადამცემ სადგურს, პროფილაქტიკა ჩაუტარდა მიმღებ რესივერს. გადამცემი მუშაობს 106,0 სიხშირით.

შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქროპილაურას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს და გადამცემ ანტენებს. გამოიცვალა დაზიანებული სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით.

ხულოს მუნიციპალიტეტის არგინეთის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, შეიცვალა სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,1 სიხშირით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ლეღვას აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გამოიცვალა სატელიტური რესივერი. გადამცემი მუშაობს 96,1 სიხშირით.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სარფის აჭარის რადიოს FM გადამცემ სადგურზე ჩატარდა პროფილაქტიკური სამუშაოები. (თვეში ერთხელ ტარდება გეგმიური პროფილაქტიკური სამუშაოები). პროფილაქტიკა ჩაუტარდა გადამცემ სადგურს, გარემონტდა მიმღები რესივერი. გადამცემი მუშაობს 104,5 სიხშირით.

IT სამსახურის მიერ განხორციელებული სამუშაოები:

2020 წლის პირველ კვარტალში განხორციელდა ქსელური სამუშაოები: ახალი მიერთებები, დაზიანებული წერტილების გამოვლენა და აღმოფხვრა, ქსელის გამანაწილებელი (switch) და უკაბელო ინტერნეტის(AP) მოწყობილობების გამართვა.

ფაერვოლისა და როუტერის (Sophos SG230) კონფიგურირება, სამუშაო ჯგუფების შექმნა, პორტებსა და სერვისებთან წვდომის წესების განსაზღვრა, ვებ და ქსელური დაცვის წესების შემუშავება სამუშაო ჯგუფებისა და ქსელების კატეგორიების გათვალისწინებით, ლოგირება და მონიტორინგი.

სერვერების (FTP სერვერები, რადიო სტრიმინიგი, მონაცემთა ბაზა) გამართული მუშაობის უზრუნველყოფა, მონიტორინგი.

ეთერის გრაფიკული გაფორმების სადგურები (ტიტროვშიკი), პროექტების გამზადება, პროგრამული და აპარატურული ნაწილის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

საეთერო სამაუწყებლო კომპიუტერული და ქსელური მოწყობილობების შეკეთება, გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

საეთერო პულტებში გრაფიკული ელემენტების ჩაწერა და კონფიგურირება.

ქსელური ენკოდერების კონფიგურირება

რადიოს მონაცემთა ბაზის, სამაუწყებლო, სამონტაჟო, დამგეგმავი და სტრიმერი კომპიუტერების შეკეთება, პროგრამული გამართვა და მონიტორინგი.

დეტალები (დაზიანებული და ფიზიკურად მოძველებული დეტალების გამოვლენა, ფასთა მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება.)

კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი. სამონტაჟო კომპიუტერების კონფიგურირება, ფასების მოკვლევა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მოზადება

კატრიჯები (კვლევა, დასატუმბი, შესაკეთებელი და ახალი კატრიჯების რაოდენობის განსაზღვრა, სატენდერო ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადება)

სტორიჯის მოცულობის გაზრდის მიზნით, ბაზრის კველვა, თავსებადი თაროს კონფიგურირება, სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება. კომპიუტერული ტექნიკის ოპერაციული სისტემის განახლება, დრაივერების, ანტივირუსული და სხვა პროგრამების ინსტალაცია, მონიტორინგი.

მოუსმინე აუდიტორიას - საზოგადოებრივი უკუკავშირი

ახალი ამბების გამოშვებები და ანალიტიკური გადაცემები მზადდება მაყურებლის დახმარებით. მათი სატელეფონო ზარები და მაუწყებლის ფეისბუქის გვერდზე მიღებული შეტყობინებები არის მნიშვნელოვანი წყარო დაგეგმვის პროცესში. მოქალაქეები გვთხოვენ ჯანდაცვის, კომუნალური, სოციალური, სამართლებრივი პრობლემების გაშუქებას, სხვადასხვა უწყებასთან შუამდგომლობას. სოციალურ ქსელში განთავსებულ მასალებზე გამოხმაურებით დგინდება უკუკავშირი.

სამომავლო რისკები და გამოწვევები

საზოგადოებრივი მაუწყებლის მუშაობა რომ გახდეს მდგრადი, აუცილებელია არხს გააჩნდეს სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი, მომდევნო კვარტალში უნდა შედგეს დაგეგმილი ტენდერები და გამართული ფუნქციორებისთვის შევიძინოთ ტექნიკა.

გეგმები შემდეგი ანგარიშისთვის

მომდევნო თვეების განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანებია:

- მაუწყებლის შენობის საკითხებზე კონსულტაციების გაგრძელება;
- თანამშრომელთა დისციპლინის ჩამოყალიბება;
- ღირებულებებზე დაფუძნებული ერთიანი გუნდის შექმნა;
- ტელევიზიის ინსტიტუციური განვითარებისთვის ხელშეწყობა;
- მარკეტინგის ჯგუფის გაძლიერება და ხელშეწყობა;
- მაუწყებლის ტექნიკური გადახარისხების ხელშეწყობა;
- შეფასების სისტემის ამოქმედება;
- გუნდის გაძლიერება;
- დონორებთან კომუნიკაცია.

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს

2020 წლის პირველი კვარტალის

ფინანსური ანგარიში

2020 წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 2.804.000,00 ლარს, ფაქტიურად დაიხარჯა 2.070.917,85 ლარი. გეგმის შესრულების მაჩვენებელი 3 თვის მდგომარეობით შეადგენს 73,86%-ს.

2020 წლის პირველ კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან გასაწევი ხარჯების თანხა გეგმის მიხედვით შეადგენდა 46.800,00 ლარს, გაწეული საკასო ხარჯები შეადგენს 14.648,67 ლარს. გეგმის შესრულების მაჩვენებელი შეადგენს 31,30%-ს.

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებიდან და ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან 2020 წლის პირველ კვარტალში გაწეული საკასო ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N1).

2020 წლის პირველ კვარტალში სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების თანხა შეადგენს 37.778,96 ლარი.
ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული (დარიცხული) შემოსავლების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ცხრილის სახით (იხ. დანართი N2).

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ

2020 წლის I კვარტალში გაწეული საკასო ხარჯები

ხარჯების დასახელება	საკასო ხარჯები (სახელმწიფო ბიუჯეტიდან)				საკასო ხარჯები (არასაბიუჯეტო შემოსავლებიდან)			
	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ	იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ
სულ	585.664,87	769.066,98	716.186,00	2.070.917,85	6.074,99	3.862,77	4.710,91	14.648,67
მრჩეველთა საბჭო	21.027,17	21.747,60	21.597,67	64.372,44	124,86	0,00	110,62	235,48
მრჩეველთა საბჭოს ჰონორარი	16.437,00	16.770,00	16.770,00	49.977,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს აპარატის მუშაკთა ჰონორარი	4.350,00	4.350,00	4.350,00	13.050,00	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს მივლინება ქვეყნის შიგნით	130,00	490,00	344,80	964,80	0,00	0,00	0,00	0,00
მრჩეველთა საბჭოს მობილური სატელეფონო მომსახურება	110,17	137,60	132,87	380,64	0,00	0,00	0,00	0,00
სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	124,86	0,00	110,62	235,48
ადმინისტრაცია	194.744,42	241.849,61	218.890,32	655.484,35	0,00	1.914,00	1.112,70	3.026,70
თანამდებობრივი სარგო	129.017,50	126.712,02	128.481,46	384.210,98	0,00	0,00	0,00	0,00
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	37.315,00	38.463,40	41.140,74	116.919,14	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება ქვეყნის შიგნით	845,00	530,00	563,80	1.938,80	0,00	0,00	0,00	0,00
საკანცელარიო ჟურნალები და წიგნები	0,00	643,00	0,00	643,00	0,00	0,00	0,00	0,00
დანარჩენი საკანცელარიო ნივთები	0,00	6.223,00	0,00	6.223,00	0,00	0,00	0,00	0,00
ჟურნალ-გაზეთების შეძენა	0,00	22,80	22,80	45,60	0,00	0,00	0,00	0,00
კომპიუტერული ტექნიკა და მარაგები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	72,00	72,00
გამანაწილებლები, სპლიტერები	85,00	0,00	0,00	85,00	0,00	0,00	0,00	0,00
საწმენდი საშუალებები, დისპენსერები, ჯაგრისები, ტილოები, ფუალეების ქაღალდი, ხელსახოცები, თხევადი საპონი და სხვა	0,00	0,00	424,80	424,80	0,00	1.496,00	330,70	1.826,70
სადეზინფეციო საშულებების შეძენა	0,00	0,00	332,00	332,00	0,00	0,00	60,00	60,00
ცეცხლმაქრების შეძენა	0,00	0,00	2.250,00	2.250,00	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენასა და დამონტაჟება-დემონტაჟთან დაკავშირებული ხარჯი	125,25	12,00	165,00	302,25	0,00	0,00	0,00	0,00
ქსელის კაბელი, აქსესუარები და კონექტორები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	98,00	0,00	98,00
სამსახურებრივი მოწმობების (ბეიჯი), სერტიფიკატების, სავიზიტო ბარათების დამზადება	0,00	70,00	290,00	360,00	0,00	0,00	0,00	0,00
საწმენდი საშუალებები და დისპენსერები	0,00	0,00	669,45	669,45	0,00	0,00	0,00	0,00
ფარმაცევტული პროდუქტების, ერთჯერადი პირბადეები	0,00	0,00	364,50	364,50	0,00	0,00	0,00	0,00
პირველადი ბატარეები და ელემენტები, ვიდეო კამერის ელემენტები	0,00	5.664,00	0,00	5.664,00	0,00	0,00	0,00	0,00
თაბაშირ-მუყაოს ხმის საიზოლაციო ფილები, საღებავების, გამხსნელის, წებოების,სამკაპი, ლინოლეუმი და სხვა	0,00	0,00	203,00	203,00	0,00	0,00	0,00	0,00
პირსაბანი ნიჟარის, უნიტაზის კომპლექტის, უნიტაზის სახურავის, ონკანის შეძენა	0,00	0,00	32,00	32,00	0,00	0,00	0,00	0,00
სამეურნეო საქონელის (კაბელის არხი, სარჩილავის კალა, ალუმინის პროფილი, კუთხოვანა და სხვა) შეძენა	0,00	0,00	99,65	99,65	0,00	0,00	0,00	0,00
კომპიუტერული ტექნიკის რემონტი (პრინტერები)	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	180,00	180,00
შიდასაქალაქთაშორისო სატელეფონო მომსახურება	0,00	412,10	550,53	962,63	0,00	0,00	0,00	0,00
მობილური ტელეფონების ხარჯი	2.325,94	1.984,97	1.959,72	6.270,63	0,00	0,00	0,00	0,00
საკაბელო სატელევიზიო მომსახურება	0,00	88,00	88,00	176,00	0,00	0,00	0,00	0,00
ინტერნეტით მომსახურების ხარჯი	0,00	1.780,00	1.780,00	3.560,00	0,00	0,00	0,00	0,00
დომენის რეგისტრაციის გაგრძელება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელეკომუნიკაციო მომსახურეობა-ჰოსტიგი	0,00	1.300,00	1.300,00	2.600,00	0,00	0,00	0,00	0,00
საფოსტო მომსახურება	0,00	158,68	218,64	377,32	0,00	0,00	0,00	0,00
ელ.ენერგიის ხარჯი	7.401,00	9.314,52	8.873,09	25.588,61	0,00	0,00	0,00	0,00
წყალის და წყალანირების ხარჯი	0,00	399,00	521,50	920,50	0,00	0,00	0,00	0,00
მედიკამენტები და ფარმაცევტული პროდუქტები	0,00	503,85	299,95	803,80	0,00	0,00	0,00	0,00
შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების დეზინფექცია-დერატიზაციის ხარჯი	202,00	202,00	0,00	404,00	0,00	0,00	0,00	0,00
საწვავი (ავტომანქანებზე)	12.262,43	9.678,96	9.361,33	31.302,72	0,00	0,00	0,00	0,00
ტრანსპორტის მიმდინარე რემონტის ხარჯი	850,00	844,52	1.730,76	3.425,28	0,00	0,00	0,00	0,00
GPS-ის მომსახურება	0,00	384,98	380,31	765,29	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკის მოვლა შენახვის-ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების დაქირავების ხარჯი (გადაზიდვა-გადაყვანა, ტაქსის მომსახურება)	0,00	598,10	80,88	678,98	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების ტექ.მომსახურება	0,00	0,00	60,00	60,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატრანსპორტო საშუალებების პარკირება	0,00	234,82	0,00	234,82	0,00	0,00	0,00	0,00
საბურავების შეძენა	2.880,00	2.200,00	0,00	5.080,00	0,00	0,00	0,00	0,00
დოკუმენტების თარგმნა უცხო ენებიდან	0,00	60,00	0,00	60,00	0,00	0,00	0,00	0,00
შენობის დაცვა (ორბელიანის 17)	0,00	1.224,84	1.224,84	2.449,68	0,00	0,00	0,00	0,00
ადმინისტრაციული შენობის დაცვა	0,00	12.600,00	12.600,00	25.200,00	0,00	0,00	0,00	0,00

აუდიტორული მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	150,00	150,00
სატენდერო და აუქციონის განცხადებების ხარჯი	150,00	70,00	250,00	470,00	0,00	0,00	0,00	0,00
კანცელარიის პროგრამის მომსახურება	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	320,00	320,00	640,00
საბუღალტრო პროგრამის მომსახურება (სუპერფინი)	0,00	63,00	63,00	126,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკორესპოდენტო ბიუროს ოფისის დაქირავების ხარჯი	0,00	1.350,00	1.350,00	2.700,00	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (სატელეფონო მომსახურება)	0,50	11,20	11,20	22,90	0,00	0,00	0,00	0,00
112-ს მომსახურების საფასური (მობილური სატელეფონო მომსახურება)	124,80	102,00	98,80	325,60	0,00	0,00	0,00	0,00
ტელევიზიის შენობის ადაპტირების მიზნით გადმოცემული კონსტრუქციის სამართავი პულტი	0,00	844,78	0,00	844,78	0,00	0,00	0,00	0,00
თანამშრომელთა დაზღვევა	0,00	14.444,16	0,00	14.444,16	0,00	0,00	0,00	0,00
ავტომანქანების დაზღვევა	0,00	518,66	0,00	518,66	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატი)	1.160,00	1.847,50	728,57	3.736,07	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა (შტატგარეშე)	0,00	288,75	320,00	608,75	0,00	0,00	0,00	0,00
ახალი ამბები	108.170,00	103.924,64	100.126,16	312.220,80	0,00	0,00	0,00	0,00
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	103.289,50	101.526,64	96.122,34	300.938,48	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება ქვეყნის შიგნით	1.425,00	1.000,00	105,00	2.530,00	0,00	0,00	0,00	0,00
საინფორმაციო მომსახურება "ახალი ამბები"	0,00	590,00	0,00	590,00	0,00	0,00	0,00	0,00
სტუდიის განახლების სამუშაოები	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	3.455,50	808,00	3.898,82	8.162,32	0,00	0,00	0,00	0,00
მედიაწარმოება და პროდიუსინგი	162.564,60	308.502,04	275.648,96	746.715,60	223,81	243,02	1.564,77	2.031,60
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	153.743,50	151.674,49	155.158,09	460.576,08	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება ქვეყნის შიგნით	4.730,00	3.990,00	1.980,00	10.700,00	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება ქვეყნის გარეთ	3.358,60	10.043,66	-728,62	12.673,64	0,00	0,00	0,00	0,00
გარე ლაითბოქსების ვიზუალის ბეჭდვა, ბრენდირება	320,00	0,00	50,00	370,00	0,00	0,00	0,00	0,00
ბრენდირებული საქონელი	0,00	0,00	2.824,00	2.824,00	0,00	0,00	0,00	0,00
სტუდი(ებ)ის გაფორმება-განახლების სამუშაობი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	500,00	500,00
პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები, კოსმეტიკური საშუალებები	0,00	0,00	499,20	499,20	0,00	0,00	0,00	0,00
საავტორო უფლებების ჰონორარი	0,00	1.878,89	0,00	1.878,89	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო რვენების უფლებით ლიცენზირებული ქართული ფილმების შესყიდვა	0,00	0,00	28.910,00	28.910,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო რვენების უფლებით ლიცენზირებული ფილმების შესყიდვა-გახმოვანება	0,00	139.700,00	86.070,00	225.770,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო გადაცემებისათის საჭირო მასალები,დეკორაციები და კვების სხვადასხვა საქონელი	0,00	0,00	0,00	0,00	223,81	243,02	131,17	598,00
სოციალურ ქსელში გასატარებელი სარეკლამო კამპანიის ხარჯი	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	570,00	570,00
ნამზადების შეძენა	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	363,60	363,60
სოციალური უზრუნველყოფა	412,50	1.215,00	886,29	2.513,79	0,00	0,00	0,00	0,00
რადიო და ინტერნეტ მაუწყებლობა	36.985,00	38.028,22	45.843,32	120.856,54	0,00	0,00	0,00	0,00
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	36.733,75	37.488,22	37.269,05	111.491,02	0,00	0,00	0,00	0,00
მივლინება ქვეყნის შიგნით	45,00	75,00	90,00	210,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანსლიაცია ინტერნეტის ქსელში - რადიო სტრიმინგი	0,00	0,00	1.726,54	1.726,54	0,00	0,00	0,00	0,00
სოციალური უზრუნველყოფა	206,25	465,00	6.757,73	7.428,98	0,00	0,00	0,00	0,00
ტექნიკური უზრუნველყოფა	57.554,96	50.178,89	49.496,22	157.230,07	0,00	0,00	0,00	0,00
თანამგზავრული მაუწყებლობის ხარჯი (აზერსატი)	23.093,60	22.882,40	22.268,00	68.244,00	0,00	0,00	0,00	0,00
არარეზიდენტის შემოსავალზე დასაკავებელი გადასახადი 10%	2.565,96	2.542,49	2.474,22	7.582,67	0,00	0,00	0,00	0,00
ციფრული სიგნალის გავრცელების საფასური	0,00	19.140,00	19.140,00	38.280,00	0,00	0,00	0,00	0,00
სარელეო სიგნალის გავრცელების საფასური	0,00	870,00	870,00	1.740,00	0,00	0,00	0,00	0,00
სატელევიზიო სიგნალის ტრანზიტის (მთაწმინდა) მომსახურება	0,00	250,00	250,00	500,00	0,00	0,00	0,00	0,00
სილქტივის HD ხარისხის პროგრამული პაკეტი	0,00	250,00	250,00	500,00	0,00	0,00	0,00	0,00
საქ.ტელერადიოცენტრის ანძების იჯარა რადიოგადამცემებისთვის	0,00	3.844,00	3.844,00	7.688,00	0,00	0,00	0,00	0,00
მიმღებ/გადამცემი აპარატურის შენობის სახურავის იჯარა	0,00	400,00	400,00	800,00	0,00	0,00	0,00	0,00
საკამერო მიკროფონების კომლექტის შეძენა (2019 წლის ვალდებულება/ნაშთიდან)	31.895,40	0,00	0,00	31.895,40	0,00	0,00	0,00	0,00
სხვა გადასახდელები	4.618,72	4.835,98	4.583,35	14.038,05	5.726,32	1.705,75	1.922,82	9.354,89
არარეზიდენტების მომსახურებასთან დაკავშირებული უკუდაბეგვრის დღგ	4.618,72	4.576,48	4.453,60	13.648,80	0,00	0,00	0,00	0,00
საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადები	0,00	0,00	0,00	0,00	4.999,29	1.705,75	1.922,82	8.627,86
სახელმწიფო ბაჟი სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე - მოსაკრებელი	0,00	0,00	0,00	0,00	727,03	0,00	0,00	727,03
დასუფთავების მოსაკრებელი	0,00	259,50	129,75	389,25	0,00	0,00	0,00	0,00

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიერ 2020 წლის I კვარტალში ეკონომიკური საქმიანობით მიღებული (დარიცხული) შემოსავლები

დასახელება	თანხა
შემოსავლები სატელევიზიო ეთერში ბანერის, პროდუქტის და სასპონსორო ტიხრების განთავსების მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	1.300,00
შემოსავლები კომერციული რეკლამიდან (დღგ-ს ჩათვლით)	17.189,00
შემოსავლები საიჯარო მომსახურებიდან (დღგ-ს ჩათვლით)	19.289,96
სულ	37.778,96